სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის
გენერალური დირექტორის

ბრძანება № 47

2019 წლის 6 მაისი

ქ. თბილისი

2019 წლის სახელმწიფო სამეცნიერო საგრანტო კონკურსში – „მეცნიერება იწყება სკოლიდან – კვლევები მოსწავლეთა მონაწილეობით" გამარჯვებული პროექტების დამტკიცების შესახებ

"სახელმწიფო სამეცნიერო საგრანტო კონკურსის – „მეცნიერება იწყება სკოლიდან – კვლევები მოსწავლეთა მონაწილეობით" დებულების დამტკიცების თაობაზე" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2012 წლის 16 ივლისის N140/ნ ბრძანებით დამტკიცებული დებულების მე-3 მუხლის მე-3 პუნქტის „დ" ქვეპუნქტის, „მეცნიერება იწყება სკოლიდან – კვლევები მოსწავლეთა მონაწილეობით" 2019 წლის სახელმწიფო სამეცნიერო საგრანტო კონკურსის გამოცხადების, კონკურსის პირობების და საკონკურსო დოკუმენტაციის ფორმების დამტკიცების შესახებ" სსიპ - შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური დირექტორის 1 თებერვლის №10 ბრძანებით დამტკიცებული პირობების მე-4 მუხლის მე-5 პუნქტის, ,,საჯარო სამართლის იურიდიული პირის - შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის დაფუძნებისა და მისი წესდების დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 28 ივლისის N62/ნ ბრძანებით დამტკიცებული წესდების მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის ,,ე" და „ჟ" ქვეპუნქტების საფუძველზე და სსიპ - შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის მეცნიერების პოპულარიზაციის სამსახურის უფროსის სამსახურებრივი ბარათის (N516096, 03.05.2019) შესაბამისად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. დამტკიცდეს "სახელმწიფო სამეცნიერო საგრანტო კონკურსის – „მეცნიერება იწყება სკოლიდან – კვლევები მოსწავლეთა მონაწილეობით" 2019 წლის კონკურსში გამარჯვებული პროექტების ამ ბრძანების დანართი N1-ის შესაბამისად.
2. საგრანტო ხელშეკრულების გასაფორმებლად ამ ბრძანების პირველი პუნქტით გათვალისწინებული პროექტის მონაწილე პირებმა არაუგვიანეს 2019 წლის 17 მაისის 18:00 საათისა ფონდის კანცელარიაში უნდა წარმოადგინონ ცნობა გაცემული ბანკის მიერ იმის შესახებ, რომ მათ მიერ წარმოდგენილ ანგარიშზე არ დაირიცხება სარგებელი.

3. დაევალოს ფონდის ადმინისტრაციულ და იურიდიულ დეპარტამენტს დანართი N1-ით გათვალისწინებულ გამარჯვებული პროექტის ავტორებთან საგრანტო ხელშეკრულების გაფორმება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად არაუგვიანეს 2019 წლის 31 მაისისა.
4. დაევალოს ფონდის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს, ამ ბრძანების განთავსება ფონდის ვებგვერდზე.
5. ბრძანება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.
6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის: დ. აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ. №6).

ზვიად გაბისონია

დანართი

დამტკიცებულია
სსიპ - შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო
ფონდის გენერალური დირექტორის
2019 წლის 6 მაისის N47 ბრძანებით

2019 წლის სახელმწიფო სამეცნიერო საგრანტო კონკურსის „მეცნიერება იწყება სკოლიდან-კვლევები მოსწავლეთა მონაწილეობით" გამარჯვებული პროექტები

N	შიფრი	პროექტის სახელწოდება	ქულა
1	scr/ 2 / 7 /19	თაფლის კვლევა სკოლის ლაბორატორიაში მარტივი ექსპერიმენტების გამოყენებით	**33**
2	scr/ 31/5 /19	სპილენძის გავლენა ზოგიერთი ერთწლიანი მცენარის ზრდა-განვითარებაზე	**33**
3	scr/ 16 / 7 /19	მრავალფუნქციონარული ეკოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი კლუბის დაარსება	**28**
4	scr/ 12 / 4 /19	ნარინჯისფერი და ვერცხლისფერი ხილის ქიმია	**27**
5	scr/ 15/ 6/19	გორის მუნიციპალიტეტში მიწათსარგებლობის ანალიზი დისტანციური ზონდირების და გის-ის გამოყენებით	**27**
6	scr/ 26/ 3/19	ნაწილაკების კვლევა ვილსონის კამერისა და რადიაციის გამზომი სადგურის საშუალებით	**27**
7	scr/9 /1 /19	ფუნქციონალური მეთოდები სიმრავლეთა თეორიაში	**27**
8	scr/ 39/9 /19	თელავის მინიციპალიტეტის წინანდლის აგროქიმიური კარტოგრამის მომზადება	**24**
9	scr/ 6/ 4 /19	რატომაა საინტერესო კვების პროდუქტების ანტიოქსიდანტური აქტივობის განსაზღვრა?	**23**
10	scr/ 32/ 8 /19	ადგილობრივი თიხების გამოკვლევა ქვევრის და ტიხრული ტექნიკით მომინანქრებული ნაწარმის მისაღებად	**23**